ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №g/11

ქ. თბილისი 21 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ, ააიპ ქ. თბილისის თეატრი «გლობუსი« (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილის სამხატვრო ხელმძღვანელის ალექსანდრე მრევლიშვილის სახით (მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №19, ს.კ. 204531435) და

მეორეს მხრივ შპს «შოუ ტექნიკის ცენტრი« (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის წარმომადგენელის, ზაზა გაბელაიას სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – „ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

„ხელშეკრულების ღირებულება” – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

„დღე”, „კვირა”, „თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

„შემსყიდველი”- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

„მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია 1 გიტარის შესყიდვა. **CPV 37313300**

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 239 (ორას ოცდაცხრამეტი) ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისადა/ან ანგარიშფატურის საფუძველზე 10 საბანკო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის ადგილი და მიწოდების ვადა

შესყიდვის ობიექტის ადგილი: ქ. თბილისი, ლეონიძის №11ა;
მიწოდების ვადა: 2016 წლის 25 მარტამდე;

5. სტანდარტები

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად ანგარიშფაქტურის/ან/ სასაქონლო ზედდებულის/ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუზველზე. .

შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) შესახებ წუნდების მიზეზის მითითებით.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები

შემსყიდველს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა.

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკურლების შესრუ.ების პირობების შესრულებაზე.

-შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო

შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვის შემსყიდველს შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მიმწოდებელი ვალდებულია:

- შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება წარმოშობილი მოთხოვნის შესაბამისად.
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 აპრილამდე.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის ნაწილის 0.1%-ს.

იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის

დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ააიპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მენეჯერი-დასის ხელმძღვანელი მარინე ჩაჩანიძე;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს- მაჟორი

ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით.

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

– მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მთლიანი მომსახურება;

ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

– მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

– საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხრისთვის.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ააიპ ქ.თბილისის თეატრი "გლობუსი"	შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"
ს.კ. 204531435	ს/კ 205073212 ს.ს. თიბისი ბანკი ბანკის კოდი TBCBGE22 ანგ№GE40TB1100000028467909
სამხატვრო ხელმძღვანელი	დირექტორის წარმომადგენელი
ალექანდრე მრევლიშვილი	ზაზა გაბელაია